დანართი 1 - ტექნიკური დავალება
Please scroll down for English version

„მუნიციპალიტეტების დახმარება 2022-2025 წლების ბიუჯეტირების პროცესში“

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

- **პროგრამის მოკლე აღწერილობა**

მოდულის სახელწოდება: კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში.
მოდულის მიზანი: საჯარო დაწესებულებები სამხრეთ კავკასიის რეგიონში უკეთ ახორციელებენ ადგილობრივ დონეზე მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებას.
ძირითადი მოქმედების არეალები:
ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.
ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებისა და დაფინანსებისთვის.
გ) მომსახურების მიწოდების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაძლიერება.
დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.
ე) რეგიონულ დონეზე გამოცდილების გაცვლისა და სწავლების ხელშეწყობა.

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

- **არსებული სიტუაცია**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შედეგზე ორიენტირებული ანუ პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფილ დანერგვას. ჯერ კიდევ 2010 წელს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსმა დაადგინა, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის ბიუჯეტის შედგენა პროგრამული ფორმატით სავალდებულო გახდებოდა 2013 წლიდან. აღნიშნულის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა მინისტის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით დამტკიცდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის

მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიამ დაადგინა პროგრამული ბიუჯეტის მომზადების, დამტკიცებისა და აღსრულების ძირითადი პრინციპები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის.

განვლილ პერიოდში საქართველოს მუნიციპალიტეტებში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პროგრამულ ბიუჯეტირებაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ყველა მუნიციპალიტეტში. პროცესში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, მათ შორის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ).

მიუხედავად პროგრამული ბიუჯეტირების მიმართულებით მიღწეული პროგრესისა, დღის წესრიგში დადგა არსებული პროგრამული ფორმატის კიდევ უფრო დახვეწა და საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის მეთოდების დანერგვა. ამ მიზნით 2015 წელს ცვლილებები შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის იმ ნაწილში რომლითაც რეგულირდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ფორმატი. შესაბამისად, 2016 წლიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამები მზადდება განახლებული ფორმატით.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ანალოგიური სახის ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 28 ივლისის #283 ბრძანებით ცვლილება შევიდა ძირითად დოკუმენტში. ცვლილების მიხედვით მუნიციპალიტეტებს ბიუჯეტების განახლებული პროგრამული ფორმატით მომზადება, დამტკიცება და აღსრულება ევალებათ 2019 წლიდან.

მეთოდოლოგიაში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს ბევრ სიახლეს. ცვლილებები შეეხო როგორც ბიუჯეტს და მის თანმედევ დოკუმენტებს, ასევე მეთოდოლოგიამ ბიუჯეტის მომზადების პროცესში დაადგინა დამატებითი დოკუმენტების სავალდებულობა. ძირითადი სიახლეებიდან შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი:

- მეტი აქცენტი კეთდება პრიორიტეტების დოკუმენტის სწორ შემუშავებაზე;
- აუცილებელი ხდება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სამუშაო გეგმის შემუშავება;
- დეტალურად გაიწერა ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა;
- დაზუსტდა ბიუჯეტის თანმდევი დოკუმენტები და მათი შედგენის ფორმატი - პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტები, ააიპ-ების ბიუჯეტები;
- დაკონკრეტდა და უფრო მკაფიოდ გაიწერა ბიუჯეტის პროექტის მომზადების ფაზები და კალენდარი;
- განისაზღვრა პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების შედგენის ფორმები;
- ცალკე გამოიყო და დადგინდა მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამების გაანგარიშების მეთოდიკა;
- განისაზღვრა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმების სტრუქტურა.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მუნიციპალიტეტებში აქტიურად მიმდინარეობს საჯარო ფინანსების მართვის შეფასება PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით. ამ ეტაპისათვის შეფასება გაკეთებულია 51 მუნიციპალიტეტში. შეფასებებით გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელი ღონისძიებების წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის #2735 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და 39 მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები“. მემორანდუმების პირველ და ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საშუალოვადიანი დაგეგმვა და პროგრამული ბიუჯეტირება.

- <u>**პროექტის დაკვეთა**</u>

პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტებს გაეწიოს დახმარება მათსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში. პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შერჩეული იქნა გარდაბნის, ონის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტები.
პროექტის ფარგლებში შერჩეული კომპანია მუნიციპალიტეტებს დაეხმარება 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის და მისი თანმდევი დოკუმენტების მომზადებაში. მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს კონსულტაციები გაეწევათ და მიეწოდებათ შესაბამისი ფორმები (ინსტრუქციები) შემდეგ საკითხებზე:

- პრიორიტეტების დოკუმენტის და მასში არსებული პროგრამების შედგენა;
- საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება;
- წლიური ბიუჯეტის ახალი სტრუქტურით შედგენა;
- ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამების ახალი ფორმატით შედგენა;
- პროგრამული და კაპიტალური დანართების შედგენა;
- პროგრამებისა და ქვეპროგრამების ინდიკატორების საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა;
- მეთოდოლოგიის სხვა სიახლეები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულებასთან ერთად გამარჯვებულმა კომპანიამ რიგითი მოქალაქეებისათვის გასაგებად, მარტივ ენაზე უნდა მოამზადოს

მოქალაქის გზამკვლევი მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე. მოქალაქის გზამკვლევში მოკლედ და მარტივად იქნება აღწერილი ბიუჯეტის პროექტის ძირითადი პრიორიტეტები და პროგრამები. გაანალიზდება მუნიციპალიტეტის შემოსავლები და ხარჯები გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტებს თანამდებობის პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამული ბიუჯეტის მნიშვნელობაზე, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენისას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პრების ჩართულობის აუცილებლობაზე და ყველა იმ სამიზნე ინდიკატორზე რაც კიდევ უფრო არგუმენტირებულს და დასაბუთებულს გახდის მათ მიერ მომავალში მისაღებ გადაწყვეტილებებს.

იმისთვის, რომ პროექტის ამოცანები წარმატებით იქნას მიღწეული პროექტის განმახორციელებელს აქტიური, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი უნდა ქონდეთ მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსთან და მის თანამშრომლებთან. ასევე, პროექტის განმახორციელებელი აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ მუნიციპალიტეტის მერთან, მერის მოადგილეებთან, სხვადასხვა სამსახურის უფროსებთან და GIZ-თან. მნიშვნელოვანია პირადი, ხშირი შეხვედრები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა თანამდებობის პირებთან. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს დარგობრივი სამსახურის პასუხისმგებლობებზე, დროულად და კომპეტენტურად მიაწოდონ საფინანსო სამსახურს საჭირო ინფორმაციები. დაკვეთის მიზანია ასევე მოგროვდეს პროცესის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და გამოიკვეთოს სამომავლო თემები ტრეინინგის მიმართულებით რეგიონალური მულტიპლიკატორებისათვის.

- <u>პროექტის მიზანი და საბოლოო შედეგი</u>

- **პროექტის მიზანი:**

პროექტის მიზანს წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელი დაეხმაროს გარდაბნის, ზესტაფონისა და ონის მუნიციპალიტეტებს 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის (თანმდევი დოკუმენტების ჩათვლით) და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოქალაქის გზამკვლევის მომზადებაში. დახმარება გამოიხატება მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების შესაბამისი კონსულტაციებით გაწევით, შესაბამისი ფორმებით და ინსტრუქციებით მომარაგებით, საფინანსო სამსახურის მიერ მომზადებული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენით ახალ მეთოდოლოგიასთან.

- **პროექტის საბოლოო შედეგი:**

გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტებს აქვთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიის შესაბამისი საბიუჯეტო დოკუმენტაცია, მათ შორის:

- 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი - შესაბამისი ფორმატით და სტრუქტურით;
- 2022-2025 წლების საშულოვადიანი სამოქმედო გეგმა -შესაბამისი ფორმატით და სტრუქტურით;
- 2022-2025 წლების პრიორიტეტის დოკუმენტში და საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი პროგრამები - შესაბამისი საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებით;
- 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი - შესაბამისი ფორმატით და სტრუქტურით;
- 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი - მასში მოცემული პროგრამები და ქვეპროგრამები, შესაბამისი საბაზისო და სამიზნე ინდიკატორებით;
- 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის კაპიტალური დანართი.
- 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოქალაქის გზამკვლევი.

პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს გარდაბნის, ზესტაფონისა და ონის მუნიციპალიტეტებმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღონ მემორანდუმებით გათვალისწინებული დამატებითი ტრანსფერები. ტრანსფერის მიღება დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დოკუმენტების კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებასთან.

საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული დასკვნები და გამოწვევები GIZ-ს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს 2022 წლის 10 დეკემბრისა.

- **<u>პროექტის განხორციელების ფაზები და ხანგრძლივობა:</u>**

პროექტი განხორციელდება 20.08.2021 წლიდან 10.12.2021 წლამდე პერიოდში

- **პროექტის ფაზები:**

პროექტი შედგება 2 ძირითადი ფაზისგან:

ფაზა 1 - გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი დოკუმენტის მომზადება, სადაც განსაზღვრული იქნება ასიგნებების ზღვრული მოცულობები 2022-2025 წლებზე; გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტების 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება;

ფაზა 2 - გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტების 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, 2022 ბიუჯეტის პროექტის და მისი თანმდევი დოკუმენტების (პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დანართები) მომზადება; მოქალაქის გზამკვლევის მომზადება.

- **პროექტის ფაზების განხორციელების პერიოდები:**

ფაზა 1 განხორციელდება 20.08.2021-დან 10.10.2021-მდე პერიოდში

ფაზა 2 განხორციელდება 11.10.2021-დან 10.12.2021-მდე პერიოდში

განხორციელების პროცესში პროექტის განმახორციელებელი მჭიდროდ თანამშრომლობს GIZ-თან

GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, კონტრაქტორი ასევე თანამშრომლობს და ინფორმაციას აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტს.

- **ჩართულობა**

პროექტის განმახორციელებელი შეხვედრებს გამართავს გარდაბნის, ზესტაფონისა და ონის მუნიციპალიტეტებში (გათვალისწინებული უნდა იყოს COVID-19 დაკავშირებული რეგულაციები). იგი ხშირ შემთხვევაში იმუშავებს მუნიციპალიტეტებში ადგილზე, თვითმმართველობის შესაბამის თანამდებობის პირებსა და საჯარო მოხელეებთან.

პროექტის მიმდინარეობის ეტაპზე პროექტის განმახორციელებელს ექნება აქტიური კონტაქტი მუნიციპალიტეტის მერთან (ბიუჯეტის კურატორ მერის მოადგილესთან), საფინანსო სამსახური უფროსთან და მის თანამშრომლებთან.

საჭიროების შემთხვევაში პროექტის განმახორციელებელი შეხვედრებს გამართავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებთან.

პროექტის განმახორციელებელი ასევე ითანამშრომლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან.

- <u>ანგარიშგება</u>

GIZ- სთვის ანგარიშგება განხორციელდება GIZ- ის მოთხოვნის შემთხვევაში, აგრეთვე, შემდეგი გრაფიკით:

- საწყისი ანგარიში: არაუგვიანეს 10 ოქტომბერი, 2021
- საბოლოო ანგარიში: არაუგვიანეს 10 დეკემბერი, 2021

ანგარიშები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საწყისი ანგარიში (ფაზა 1): გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტების 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტს; გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტების 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებს.;
- საბოლოო ანგარიში (ფაზა 2): გარდაბნის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტების 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს და მისი თანმდევი დოკუმენტებს (ააიპ-ების ბიუჯეტები, პროგრამული და კაპიტალური დანართები), 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოქალაქის გზამკვლევს.

საწყისი და საბოლოო ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის განმახორციელებლის მიერ გამართული შეხვედრების შესახებ, შესაბამისი თარიღისა და შეხვედრის მონაწილეების მითითებით. ასე იმ გამოწვევების შესახებ ინფორმაციით, რომლებიც მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ახალი მეთოდოლოგიით მუშაობისას.

Annex 1 – Tecnical tasxs

Support of Elaboration of the draft municipal budgets 2022 in accordance with the updated programme budget methodology

The GIZ Programme Good Governance for Local Development South Caucasus (GGLD) invites organisations to submit proposals for consultancy services.

- **Brief description of the Programme**

Programme Name: Good Governance for Local Development in South Caucasus (GGLD)
Objective: public institutions in the South Caucasus region are better able to provide citizen-oriented public services at the local level in a sustainable and environment friendly manner in accordance with the principles of democracy, rule of law and transparency that improves the living conditions of local population.
Basic fields of action:

a) Improving the legal and institutional framework for providing citizen-oriented public services;
b) Strengthening the capacities of key stakeholders to deliver citizen-oriented services and to finance them;
c) Introducing public participation mechanisms for the engagement of citizens in service delivery;
d) Strengthening the procedures, institutions and instruments of regional and local economic development;
e) Promoting exchange of experience and cross-border learning.

Programme duration: 01/04/2020 – 31/03/2023

- **Background Information**

Reforms in the field of public finance management have been actively implemented in Georgia during the last decade. Full introduction of result-oriented so called program budget has occupied a special place in this regard. Back in 2010, the Budget Code of Georgia defined that the elaboration of draft municipal budgets in accordance with program format would become mandatory from 2013. Therefore, by the decree # 385 of the Minister of Finance of Georgia of July 8, 2011, the methodology of elaboration of the program budget was approved. The methodology defined the basic principles of program budget elaboration, approval and implementation for the state budget as well as for the autonomous republics and local governments.
Municipalities in Georgia have been actively working on the program budgeting in the preceding period. Significant changes have been made in this direction in all municipalities. The Ministry of Finances of Georgia and international donor organizations, including Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ), have been actively involved in this process.
Despite the achieved progress in the area of program budgeting, further improvement of the existing program format and introduction of the best internationally acknowledged practices are on the agenda. In 2015, changes have been made in the

approved methodology of program budgeting by the Ministry of Finances of Georgia, in particular, in the part which regulates program format of the state budget. Therefore, since 2016, programs of the state budget have been elaborated in accordance with the updated format.
Similar changes have been made for autonomous republics and local governments in 2018. Particularly, by the decree #283 of the Ministry of Finances of Georgia of July 28, 2018, changes have been made in the basic document. According to the changes, municipalities became obliged to elaborate, approve and implement the budgets in accordance with the updated program format from 2019.
Changes made to the methodology foresee many novelties. The changes impacted budget as well as its' accompanying documents; Furthermore, in the process of budget elaboration the methodology established obligation of additional documents; the major updates could be defined as follows:

- More emphasis are made on the correct elaboration of document of priorities;
- Elaboration of the medium-term plans for municipalities have become mandatory;
- The format and structure of the budget are described in details;
- Budget accompanying documents and the format of their elaboration - program and capital budgets, non-entrepreneurial (non-commercial) legal entity (NNLE) budgets - became more specified;
- The phases and schedule of drafting the budget became more specified and clearly described;
- The forms of programs/sub-programs/measures have been defined;
- Estimations methodology for the types of programs such as management and regulation have been separated and defined;
- The structure of budget fulfillment report has been defined.

Public finance management assessment by applying PEFA indicators has been actively carried out in Georgian municipalities over the recent years. By this stage, the assessment has been made in 51 municipalities. On the basis of the Government Decree # 2735 of December 30, 2019, the Ministry of Finance of Georgia and 39 municipalities signed a "Memorandum of Cooperation on Supporting the Improvement of Finance Management by Municipalities under the Framework of Public Finance Management Reform Strategy 2018-2021" in order to encourage the measures to be taken by the municipalities to eliminate the gaps identified in the assessment process. Medium-term planning and program budgeting represents the first and one of the main directions of memorandum.

- **Objective of the Assignment**

The objective of the assignment is to support Gardabani, Zestafoni and Oni municipalities in the process of fulfilling their obligations under the memorandum signed with the Ministry of Finance of Georgia. For the purposes of this assignment the municipalities were selected in an agreement with the Ministry of Finance of Georgia.

The contractor will assist municipalities to elaborate the document of priorities for 2022-2025, medium-term action plan for 2022-2025, draft budget of 2022 and its accompanying documents. Consultations will be carried out for civil servants and the relevant forms (instructions) will be provided to them about the following issues:

- Elaboration of the document of priorities and existing programs in them;
- Elaboration of the medium-term action plan;
- Elaboration of the annual budget in accordance with new structure;
- Elaboration of the budget programs and sub-programs with the new format;
- Elaboration of program and capital appendices;
- Definition of the basic and target indicators of the program and sub-program measures;
- Other novelties related to the methodology.

The contractor should provide draft if citizen guide for the municipalities to the draft budget of 2022 along with the completion of the above mentioned assignments. The Citizen Guide will briefly and easily describe the main priorities and programs of the draft budget. Revenues and expenditures of the municipality will be analyzed in accordance with past, current and planned years.

In the implementation process of the project, local government officials will be provided with an information about the importance of program budgeting, the need of the involvement of the municipal officials in drafting the budget in a program format, and all the target indicators which will make their future decisions even more reasonable and substantiated.

For the project objectives to be successfully achieved, the service provider/contractor should have active, almost daily contact with the head of the municipal financial department and the staff. In addition, the service provider should actively collaborate with the municipal mayor, deputy mayors, heads of various departments and GIZ. Frequent face to face meetings with various municipal officials are expected. In addition, they should focus on the responsibilities of the sectorial service, to provide the necessary information to the financial division in a timely and competent manner. The objective of the assignment is also to gather experience gained during the process and to highlight the future topics in the field of training for regional actors.

- **Project objective and outcome**

- **The project objective:**

Under the objective of the project, the service provider should support Gardabani, Zestafoni and Oni municipalities to elaborate the document of priorities for 2022-2025, medium-term action plan of municipalities for 2022-2025, draft budget of 2022(including accompanying documents) and the citizen guide to the draft budget of 2022. Assistance is provided by carrying out proper consultations to the civil servants

of municipality, providing with appropriate forms and instructions, and defining the relevance of information prepared by the Financial Division to the new methodology.

- **The project outcome:**

Municipalities possess the budget documents relevant to the updated methodology of program budgeting approved by the Minister of Finance of Georgia. The documents include:

- Document of priorities for 2022-2025 - along with corresponding format and structure;
- Medium-term action plan for 2022-2025 - along with corresponding format and structure;
- Programs introduced in the document of priorities and medium-term action plan for 2022-2025 - along with basic and target indicators;
- Draft budget of 2022 - along with relevant format and structure;
- 2022 Appendix of the draft program budget of 2022 - including programs and sub-programs introduced in them along with basic and target indicators;
- The capital appendix of the draft budget of 2022.
- The citizen guide to the draft budget of 2022.

The project also aims to receive additional transfers under the memorandum between MoF and Gardabani, Zestaponi and Oni municipalities. Pre-condition to get the transfer is development of above listed documents in accordance with the law.

The conclusions and challenges related to the budgeting process should be submitted to the GIZ no later than December 10, 2021.

- **The phases and duration of the project implementation**

The project will be implemented from 20.08.2021 to 10.12.2021.

- **The Project Phases:**

The project consists of 2 major phases:

Phase 1 - Preparation of a preliminary document on the priorities of Gardabani, Zestaponi and Oni municipalities, which will define the thresholds of allocations for 2022-2025; Preparation of medium-term action plan for Gardabani, Zestaponi and Oni municipalities for 2022-2025;

Phase 2 – Preparation of the priority document for Gardabani, Zestaponi and Oni municipalities for 2022-2025, the draft budget for 2022 and its annexes (program and capital budget annexes); Prepare a citizen guide.

- **Implementation periods of the project phases:**

Phase 1 will be implemented from 20.08 to 10.10 periods.

Phase 2 will be implemented from 11.10 to 10.12 periods

During the implementation process, the service provider closely cooperates with GIZ

Within the framework of close cooperation with GIZ, the service provider collaborates and provides information to the Budgeting Department of the Ministry of Finance of Georgia.

- **Involvement**

The service provider will hold meetings in municipalities. The service provider will frequently work locally in municipalities, with corresponding local government's officials and civil servants.

During the project phase, the service provider will have communication with the mayor of municipality (Deputy Budget Curator), with the head of Financial Division and the staff, (COVID-19 related regulations should be considered).

In case of needs, the service provider will hold the meetings with the representatives of municipal council.

The service provider will collaborate with the Budgeting Department and Treasury Division of the Ministry of Finance of Georgia.

- **Reporting**

Reporting for GIZ will be done upon request of GIZ, also according to the following schedule:

  - Initial report: no later than October 10, 2021
  - Final report: no later than December 10, 2021

Reports should include the following information:

- Initial report (phase 1) The draft version of the 2022-2025 priority document of Gardabani, Zestaponi and Oni municipalities; Medium-term action plans for Gardabani, Zestaponi and Oni municipalities for 2022-2025.

- Final report (phase 2) Gardabani, Zestofoni and Oni the document of priorities of municipalities for 2022-2025, draft budget of 2022 and its accompanying documents (budgets of NNLE, program and capital appendices), the citizen guide to the draft budget of 2022.

The initial and final reports should include information about the meetings held by the service provider, indicating the dates and meeting participants. Also, challenges of municipalities working with the new methodology.